ხულიო ტრებოლე ბარრერა

კომპლუტენზას უნივერსიტეტი, მადრიდი

მსაჯულთა და მეფეთა წიგნების გვიანდელი ფორმები ბერძნულ-ანტიოქიურ და ძველ ლათინურ ტექსტუალურ ტრადიციაში

ზოგადად რეცენზიების და, უპირველეს ყოვლისა, კაიგე რეცენზიის, შექმნის მიზეზი არ არის ხოლმე თეოლოგიური ან ეგზეგეტიკური მოსაზრებები. ისინი უფრო ტექსტოლოგიური, ფილოლოგიური, ან ლიტერატორული პრინციპების ნაყოფია და ნაკარნახევია სურვილით, რომ არ დაიკარგოს ადრეული ტექსტუალური ტრადიციის მასალა, რისთვისაც ხდება მათი ინტეგრირება ძირითად ტრადიციასთან.

მოხსენებაში განვიხილავთ მეფეთა და მსაჯულთა წიგნების ანტიოქიური და ძველი ლათინური ტესტუალური ტრადიციებიდან მოხმობილ მაგალითებს, ძირითადად, ხელნაწერებში ფიქსირებულ მატებებსა და დუბლეტებს. განსაკუთრებით ყურადღებას გავამახვილებთ იმაზე, წარმოდგენილია თუ არა ჰეგზაპლური მატებები როგორც ერთი, ასევე მეორე ტრადიციის წყაროებში. ვისაუბრებთ პროცესზეც, რომელიც ხშირად საღი აზრის საწინააღმდეგოდ მოქმედებს და რომლის შედეგიც ძველი წყაროებიდან აღებული იკითხვისების გვიანდელ წყაროებში ინტეგრირებაა.